მაგდა გელაშვილი

„შინ დაბრუნების ოდისეა“

მოქმედი პირნი:

დედა-მარია

მამა-დათა

შვილები: ნიკა და ნინია.

I მოქმედება

I სურათი

(აბარგება)

მარია: დღესვე უნდა დავცალოთ ბინა და წავიდეთ აქედან, სანამ ყველაფერი ჩაუკეტავთ!

დათა: საიდან მოიტანე ახლა ეს? სად ან რატომ უნდა წავიდეთ? მგონი ამ პანდემიამ და მასთან დაკავშირებულმა ამბებმა ჭკუიდან გადაგიყვანა!

მარია: შენ რა გენაღვლება?! მთელი დღე ოთახში ხარ გამოკეტილი და შენს მოთხრობებს ჩაჰკირკიტებ. ვეღარ გაიგე რომ ეგ ნაჯღაბნები პურს ვერ გვაჭმევს? აღარავის სჭირდება. მუზებიც დაგიფრთხო კორონამ, ხომ ხედავ , აღარაფერი გამოგდის. შენც არ მყავდე ახლა შექსპირი რაიმე გენიალური რომ დაწერო საყოველთაო ჭირ-ვარამის დროს.

დათა: რა ვაკეთო აბა? გაჩერდა მსოფლიო და ამ კორონამ ოდისევსივით გამოგვკეტა ნიმფა კალიფსოს მღვიმეში. წერისა და კითხვის მეტი რა დამრჩენია? ხო, ჩემი მუზები კვლავ მსტუმრობენ, ნუ ღელავ.

მარია: კარგი რა, არ გინდა ამ ბრძნული აზრების ფრქვევა და შენი უმწეობის გასამართლებლად ჰომეროსს ნუ აწუხებ. მეპატრონემ ბინის დაცლა მოგვთხოვა.

დათა: რატომ?

მარია: ქირას ვეღარ ვიხდით.

დათა: ცოტა შეღავათი რომ გაგვიწიოს ღმერთი უწყენს? აქამდე ხომ კეთილსინდისიერად ვუხდიდით.

მარია: ხომ იცი როგორი ძუნწიცაა...

დათა: კაფეს ვეღარ გახსნი, ხო?

მარია: რა კაფეს , ბიჭო, ვერ ხედავ რა სიტუაციაცაა? რამდენი ადამიანი ავადდება და იღუპება?

დათა: კარგი, წავიდეთ, მაგრამ სად?

მარია: სოფელში. დანაზოგით იქ უფრო გავიტანთ თავს. თან გაზაფხულია. ადგილ-მამულს დავამუშავებთ, ქირის ფულის გადახდა მაინც აღარ მოგვიწევს.

ბავშვებო, ბარგი ჩაალაგეთ, მივდივართ! (გაჰყვირის)

ნინია: საად?

ნიკა: რაა?

მარია: სო-ფელ-ში. მეტი შეკითხვა აღარ დამისვათ. სასწრაფოდ ჩაალაგეთ ყველაფერი. (ღრიალებს)

II სურათი

(სოფელში)

მარია: ოჰ, წლებია ამ სახლის კარი არ გაღებულა. მეგონა ყველაფერი თაგვებისგან იქნებოდა დაღრღნილი. რას ვიფიქრებდი, ოდესმე აქ თუ მოგვიწევდა საცხოვრებლად კვლავ დაბრუნება. (ხელბარგს მტვრიან იატაკზე დებს)

დათა: ხომ გეუბნებოდი მოვა დრო და სოფელი სანატრელი გაგვიხდებათქო. კიდევ კარგი არ გავყიდეთ აქაურობა.

მარია: მყიდველი ვერ ვიშოვეთ, თორემ...

დათა: ერთი შეხედეთ ამ სიმწვანით დამძიმებულ ხეებს, როგორ ხარობს ბუნება ჩვენ გარეშე. გაზაფხული ისევ მოვიდა. ბუნებამ ისევ გაიღვიძა.ჩიტებს ახედეთ, როგორ ხარობენ. აღარც მანქანებით გადატენილი ქუჩებია, აღარც მოჩუქჩუქე მატარებლები, აღარც თვითმფრინავები. გაზაფხული კვლავ მოვიდა, მაგრამ უჩვენოდ.

მარია: სულ მოდიოდა, მოდის და მოვა. ჩვენ უნდა მოვეგოთ გონს, გავუფრთხილდეთ ერთმანეთს და გარესამყაროს, თორემ ხომ ხედავ, მგონი ზედმეტნიც კი ვიყავით სამყაროსთვის. თითქოს გაბრაზდა ჩვენზე და ამიტომ გამოგვკეტა, რათა ზოგიერთ საკითხს ჩავუფიქრდეთ. კარგი მოვრჩეთ ლაყბობას. უამრავი საქმეა! (მკლავებს იკაპიწებს)

დათა: Aurora musis amica ! ვგონებ, აქაური ცისკარი ჩემს მუზებს ძალიან დაუმეგობრდება! ხვალიდანვე შევუდგები ახალი მოთხრობის წერას!

მარია: ხო, შენ მხოლოდ შენს მუზებსა და მოთხრობებზე იფიქრე, სახლის საქმეები რაში გადარდებს?!

ნინია: რა სიმწვანე და სიმშვიდეა! აქ მეცადინეობაში ხელს ვერაფერი შემიშლის.

ნიკა: შენ მეცადინეობის მეტზე არაფერზე ფიქრობ? მთავარია სკოლის დავალებები გქონდეს მზად. სულ წიგნებს ჩაჰკირკიტებ.

ნინია: „ არა სკოლისთვის, არამედ ცხოვრებისთვის ვსწავლობთ“ და ახლა აქ განვითარების და საკუთარ თავზე მუშაობის საუკეთესო შესაძლებლობა მაქვს. შენსავით ბიზნესის კეთების ნიჭი ყველას არ გვაქვს, ბატონო.

ნიკა: ბიზნესი თორემ გაამართლა. პირველივე კრიზისმა შეაფერხა. (ფანჯრიდან ბაღს გაჰყურებს).

ნინია: ფარ-ხმალს ნუ დაყრი! მე ხომ მხედავ, რამდენმა ჟურნალ-გაზეთმა მითხრა უარი თარგმანების გამოყენებაზე, მაგრამ მე მაინც არ ვნებდები. ჩემი შრომა აუცილებლად გამოიღებს შედეგს.

ნიკა: ალბათ მართალი ხარ. რამხელა ბაღი გვქონია. მიწაც დიდი ხნია დაუმუშავებელია და კარგი მოსავალი მოვა ზედ.

მარია: ბავშვებო, ადექით, ძალიან ბევრი საქმე გვაქვს. მამათქვენი არაფრის მაქნისია და თქვენ მაინც მომეხმარეთ.

ნინია: დღეს ვისვენებ და მოგეხმარები.

ნიკა: დედა, მე მუდამ შენს გვერდით ვარ! ამათგან განსხვავებით კალმის ნაცვლად თოხისა და ბარის აღებას ვაპირებ ხელში. არაფერი გაგვიჭირდება აქ.

(იწყებენ სახლის დალაგებას)

III **სურათი**

(გვიანი გაზაფხული.ისევ სოფელი)

დათა: ძალიან კარგად იმოქმედა ჩემზე და ჩემს შემოქმედებაზე სოფლის სუფთა ჰაერმა და სიწყნარემ. ვგონებ, ეს მოთხრობა გამომცემლობის გულს მოიგებს.

მარია: რაც აქ ვართ ხელს არ ანძრევ. სულ წერ და წერ. ყველაფერი ჩემი გასაკეთებელია. დალაგება, საჭმელი, რეცხვა, ბაღის მოვლა. ამ ჩაკეტილობაში ნევროზიც ავიკიდე.

დათა: ძვირფასო, ცოტა ნერვები დაიწყნარე. საკუთარი თავი ხელში უნდა აიყვანო. შეირგე სახლში ოჯახთან ერთად ყოფნა. ყველაფერი იშვიათი მშვენიერიაო და განა ამ დროში თავისუფალი დრო ყველაზე იშვიათი რამ არაა?

მარია: მართალია, ადრე სულ კაფეს საქმეებით ვიყავი დატვირთული.მაგრამ ასე ყოფნაც აუტანელია ჩემთვის.

დათა: ეცადე ეს დრო ნაყოფიერად გამოიყენო. შენი კაფესთვის ახალი რეცეპტები ისწავლე. სულ ასე ჩაკეტილები ხომ არ ვიქნებით.

მარია:ამ ხნის განმავლობაში პირველად მითხარი რაღაც გამოსადეგი. ახლავე დავიწყებ.

დათა: ასეა. სჯობს სანამ შორეული ოდისეადან შინ ანუ გარეთ დავბრუნდებით, რაღაც ახალი ვისწავლოთ, ეს მოცალეობის ჟამიც საჩვენოდ გამოვიყენოთ და უფრო პროდუქტიულები გავხდეთ. ასე თუ გააგრძელებ, დეპრესიას დაიმართებ. (მარიას მხარზე ხელს ხვევს)

მარია: მართალი ხარ. ამ ყველაფერმა ჩემზე საშინლად იმოქმედა. დავკარგე სამსახური, სახლში გამოვიკეტე და დიასახლისი გავხდი, ახლა ვხვდები, ყველაზე რთული პროფესია რაც ყოფილა. ამას კომფორტული გარემოს შესაქმნელად მუდმივ ჭაპანწყვეტაში ყოფნა მირჩევნია.

ნინია: Ciao a tutti! დღეიდან იტალიურის შესწავლას ვიწყებ. დრო თავზე საყრელი მაქვს.

მარია: კარგია, თქვენ მაინც ნუ დაკარგავთ საკუთარ თავს და იმედს.

დათა: Dum spiro spero!

ნინია: კარგი რა , დედა, ცოტა მოეშვი, ნუ იგრუზები, საკუთარ თავს შენ თუ არ შემოუძახე , სხვა ვერავინ ვერ გიშველის!

მარია: 17 წლის ბავშვიც მე მარიგებს ჭკუას. წავედი მე სამზარეულოში. (გადის)

IV **სურათი**

მარია: ჯანდაბა! ჯანდაბა! (ქვაბს ფანჯრიდან მოისვრის)

არაფერი გამომდის. კერძი დავწვი. საშინელებაა!

დათა: ძვირფასო, შენი მდგომარეობა უკვე ძალიან მაშინებს. მგონი სჯობს ფსიქოლოგს დაელაპარაკო.

მარია: მაგაზე მეც ვიფიქრე. სჯობს ონლაინ კონსულტაცია გავიარო.

დათა: დღესვე მოგიძებნი საუკეთესოს, ოღონდ ისევ ისეთი ხალისიანი იყო და მოსიყვარულე. (შუბლზე კოცნის)

ნინია: (შემორბის) მომილოცეთ! ერთ-ერთი ჟურნალის ვებ-გვერდზე ჩემი თარგმანები გამოაქვეყნეს და სოლიდური ჰონორარიც მივიღე. უბედნიერესი ვარ !

დათა: ყოჩაღ, შვილო, მე მჯერა, რომ ბევრს მიაღწევ!

მარია: ძალიან მაგარი ამბავია! ჩემი მორალური კრახიც კი გადამავიწყდა.

ნიკა: (გახარებული შემორბის) ჩემი დარგული პომიდვრები უკვე აყვავდა, მთელი ბაღჩა ყვავის. ჩემმა შრომამ შედეგი გამოიღო.

დათა: ვხედავ დროს შენც არ კარგავ უქმად.

მარია: აბა , წელს გვიჭამია პომიდორი! (ყველა ერთად იცინის)

ნინია: წავედი მე. „დეკამერონის“ კითხვა უნდა განვაგრძო. ისე , რა უცნაურია, ბოკაჩო ამ წიგნს არხეინად რომ წერდა და იმდროინდელი საზოგადოების მანკიერებებს ამხელდა, გარეთ შავი ჭირი მძვინვარებდა, ახლა მე, ისევ საყოველთაო პანდემიის დროს ვზივარ და მის წიგნს ვკითხულობ და ვცდილობ მისი ნაწერით ეს მძიმე დღეები იოლად გადავაგორო. ლიტერატურის ერთ-ერთი დანიშნულებაც ხომ ესაა, შეგვიმსუბუქოს მძიმე ყოფა.

დათა: ახლა ბოკაჩოზე და მაშინდელ ხალხზე უკეთეს მდგომარეობაში მაინც ვართ.

მარია: მას შემდეგ განვვითარდით და წინ წავედით. სამყაროც შეიცვალა. უკეთესი გახდა. ჩვენს თავზე მოვირგეთ. მაგრამ ხომ ხედავთ, ჩვენი მანკიერებები უკან დაგვიბრუნა. ვერაფერს ვსწავლობთ. ამაგს არ ვუფასებთ დედამიწას. ისევ დაუდევრად და წინდაუხედავად ვიქცევით.

დათა: გეთანხმები. ხომ ხედავ ასეთ დროსაც ჩვენს სოფელში რამხელა ნადიმებსა და ქორწილებს მართავენ.

მარია: იმედია, ყველაფერი რომ მორჩება საზოგადოება და მისი ცნობიერება ერთი-ორად გაიზრდება.

ნინია: მე ჩემს ოთახში ვიქნები.

მარია: მალე სადილი მზად იქნება. არ დამაძახო ,ისე ჩამოდი.

ნინია: კარგი. (გადის)

დათა: დღეისთვის რას გვიმზადებს ჩვენი შეფმზარეული?

მარია: ნუ დამცინი, ჩემი გამჭირვებია. (იღიმის)

დათა: არ დაგცინი ასე ვთვლი! არ მეტყვი?

მარია: საიდუმლოა! (გადის)

V **სურათი**

(სადილის შემდეგ)

ნინია: დედა, ოქროს ხელები გაქვს! უბადლო ხარ!

ნიკა: ნინიას ვეთანხმები, საუკეთესო ხარ, ეს ხაჭაპური პირდაპირ პირში დნება. დანარჩენზე აღარაფერს ვამბობ.

დათა: მგონი ჩემი ცოლი უკან მიბრუნდება. ისევ ისეთი სიყვარულით მომზადებულის გემო აქვს ამ კერძებს, როგორც ადრე.

მარია: ნუ მაწითლებთ!

ნინია: დე, თეფშები დაგარეცხინო?

მარია: არა, საყვარელო, წადი შენს ოთახში დაისვენე.

ნინია: დროებით. (გადის)

ნიკა: მე ბაღში გავდივარ სამუშაოდ, დროებით! (გადის)

მარია: მეშინია. საკუთარმა თავმა უკვე ძალიან დამღალა. არაფერი მშველის. ყველაფერი რომ მორჩება, როგორ შევძლო ხალხში გარევა?

დათა: ერთად ყველაფერს შევძლებთ! (იხუტებს)

მარია: მოდი მაგიდა ავალაგოთ.

დათა: კარგი.

მარია: ვიქნები ისევ ისეთი ლაღი და საქმიანი? (გასარეცხ თეფშებს ერთმანეთზე აწყობს)

დათა: მჯერა , რომ ისეთები აღარ ვიქნებით , როგორებიც აქამდე ვიყავით , მაგრამ ბევრი რამ შეიცვლება, ჯერ მხოლოდ ჩვენს შინაგან სამყაროში. ხედავ, როგორ დაფასდა ადამიანური, ცოცხალი ურთიერთობები?

მარია: სანამ რამეს არ დავკარგავთ, მანამდე ვერ ვხვდებით მის ფასს.

დათა: ეს გასაჭირი წინდახედულობას შეგვძენს.

მარია: ეგ ჭიქაც მომაწოდე , გასარეცხებთან დავდებ.

დათა: არ ვიცი, როდის დავბრუნდებით შორეული ოდისეადან , მაგრამ ერთი კი ვიცი, ეს კორონ-ნიმფა-კალიფსო ოდისევსივით მღვიმეში სამუდამოდ ვერ გამოგვკეტავს. მასაც მოუწევს ჩვენი გაშვება

და თავის დანებება. რაც არ უნდა მომხიბვლელად ჟღერდეს სახლში თბილად ჯდომისა და ონლაინ ცხოვრების იდეა, იმ უკვდავებასავით გრძნეული რომ ჰპირდებოდა ჰომეროსის საყვარელ გმირს , ჩვენ მაინც არ მოვითაფლებით, „მშობლიური ითაკა“ გვიხმობს.

მარია: და მაინც ,როგორ დაგვხვდება გარესამყარო? ნეტავ რაიმე შეთქმულებას ხომ არ გვიმზადებს? თუ ჩვენ-ჩვენ მღვიმეებში გამოკეტილს ყველგან დაგვეძებს? ნუთუ არ ვაკლივართ? ნეტავ თუ გვიცნობს? ან ისევ ერთგულად ელის ჩვენ დაბრუნებას? როდემდე იქნება პოსეიდონი ჩვენზე გამწყრალი? (ცრემლები მოადგება)

/ფარდა/